საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **ზურაბ ძლიერიშვილის** შეფასების დასაბუთება

29.04. 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **ზურაბ ძლიერიშვილის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, როგორც მოსამართლის და

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	მოქალაქის წესიერება, თავმდაბლობა, აკადემიურობა, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა. კანდიდატი სამსახურებრივ და სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. მას არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები ზურაბ ძლიერიშვილის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. იგი არასდროს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი და, ასევე, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მან გამოავლინა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე ასეთი ჯგუფის მიმართ. ზურაბ ძლიერიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებულად ან სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი ის არ ყოფილა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ზურაბ ძლიერიშვილი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით	**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.**		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	ზურაბ ძლიერიშვილთან გამართული საჯარო მოსმენითა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ კანდიდატი კარგად იცნობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკას. მან ასევე გამოავლინა საერთაშორისო სამართლის ცოდნის მაღალი

			დონე, კერძოდ - დეტალურად ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის დაშვების წინაპირობებზე, უფლების ბოროტად გამოყენებაზე, ვადებზე. ასევე მიმოიხილა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამ კუთხით დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას მისი მსჯელობა იყო თანმიმდევრული და სიღრმისეული. თუმცა აღსანიშნავია, რომ შეკითხვაზე - ვრცელდება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, მას კონკრეტული პასუხი არ გაუცია. აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სფეროდან დასმულ კითხვაზეც გაუჭირდა პასუხის გაცემა. მანვე, სრულად არ უპასუხა შშმ პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატურ ოქმთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას. ზურაბ ძლიერიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკ-ვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ასევე - სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადა-წყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, რომ ზურაბ ძლიერიშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის თითქმის ათი წლის გამოცდილება. ზურაბ ძლიერიშვილის სამეცნიერო ნაშრომების და მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღე-ბული გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანდიდატი გამოირჩევა ლოგიკური, სტრუქ-

			ტურირებული და არგუმენტირებული აზროვნების უნარით. მის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით. საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მსჯელობა და კონკრეტულ კითხვებზე პასუხები ძირითადად იყო ვრცელი, არგუმენტირებული და დამაჯერებელი. კანდიდატი მეტყველებდა გამართულად და მშვიდად, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე მისი პასუხი იყო ზედმეტად ვრცელი და პირდაპირ არ გამომდინარეობდა დასმული შეკითხვიდან.
წერის უნარი	19	20	ზურაბ ძლიერიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე მიმაჩნია, რომ კანდიდატი აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის მაღალი უნარი, იურიდიული დოკუმენტები და სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია წერის აკადემიური სტანდარტით. ასევე სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. გადაწყვეტილებები, გრამატიკული და პუნქტუაციური თვალსაზრისით, ძირითადად არის გამართული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. კანდიდატთან ჩატარებული საჯარო მოსმენის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზურაბ ძლიერიშვილს აქვს ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებს მშვიდი ტონით და გამართულად. კანდიდატი საჯარო მოსმენისას იყო მშვიდი,

			მობილიზებული, მოთმინებით ისმენდა სხვის აზრს, ცდილობდა გასაგებად და არგუმენტირებულად გადმოეცა საკუთარი შეხედულებები და პოზიცია. კანდიდატი ძირითადად სწორი მიმართულებით ავითარებდა დასაბუთებას და სამართლებრივ მსჯელობას. ამასთან, მიმაჩნია, რომ ზოგიერთ კითხვაზე ვრცელი პასუხის გაცემისას კანდიდატის მსჯელობა არ იყო მეტად ორიენტირებული კითხვის შინაარსზე
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები. ამ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას შემიძლია დავასკვნა, რომ ზურაბ ძლიერიშვილი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. 2021 წლის იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს 495 საქმე (დღეში საშუალოდ 0,5 საქმე). მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 98,9%, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი 100 პროცენტია. მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ზურაბ ძლიერიშვილის მიმართ დისციპლინური წარმოება არ დაწყებულა, რაც თავის მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებისა და მის მიმართ მხარეთა დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	მიმაჩნია, რომ ზურაბ ძლიერიშვილი არის მაღალი აკადემიური მიღწევების, პროფესიული კვალიფიკაციისა და საკმაოდ დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე კანდიდატი. ზურაბ ძლიერიშვილი არის სამართლის დოქტორი და არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს. 1998 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. არის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი. ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. მიმაჩნია, რომ ზურაბ ძლიერიშვილს ახასიათებს თვითგანვითარებისაკენ მისწრაფება, კრეატიულობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, სიახლეების მიმართ ღიაობა. იგი მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, რომ შეძენილი ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.
პროფესიული აქტივობა	5	5	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. ზურაბ ძლიერიშვილს გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი და პუბლიკაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ, მათ შორის - საერთაშორისო, ფორუმსა და კონფერენციაში, ასევე - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ დაგეგმილ რამდენიმე ტრენინგსა და

			სემინარში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ზურაბ ძლიერიშვილს აქვს მისწრაფება, მიიღოს როგორც ახალი ცოდნა და ინფორმაცია, ასევე – დახვეწოს პროფესიული უნარები და გაიღრმავოს ცოდნა.
ქულათა ჯამი	**91**	**100**	

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ზურაბ ძლიერიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, აღნიშნულ დასაბუთებაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება ამ კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, – პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა და ფინანსური ვალდებულება.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ზურაბ ძლიერიშვილის შეფასებისას მოხდა შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა და შესწავლა სხვადასხვა უწყებიდან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემები მიმდინარე და ვადაგადაცილებული დავალიანების თაობაზე; სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები შემოსავლის წყაროს, აქტივებისა და საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მონაცემები დისციპლინური საქმეების თაობაზე; მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები, შეფასების პერიოდში შესრულებული სამუშაოს საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე; ზურაბ ძლიერიშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი

პირებისაგან მიღებულია სპეციალური ფორმით შევსებული რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზურაბ ძლიერიშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვა.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით <u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები ზურაბ ძლიერიშვილს აფასებენ როგორც კომპეტენტურ, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, პრინციპულ პიროვნებას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის გრძნობით, მიზანდასახულობით, კვალიფიციურობით, პუნქტუალურობით. რესპოდენტები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. მნიშვნელოვანია, რომ ზურაბ ძლიერიშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება ან სხვა) ასრულებს ჯეროვნად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, კანდიდატს არ უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>, ზურაბ ძლიერიშვილს გამოკითხული რეკომენდატორები აფასებენ სამართლიან, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ მოსამართლედ. კანდიდატს ახასიათებს პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა, შეუძლია ობიექტურად განიხილოს მის წინაშე წარმოდგენილი ნებისმიერი საკითხი, ფაქტი თუ მტკიცებულება. მისი აზრი არ მერყეობს პოლიტიკური, სოციალური, მხარის ინტერესის, საზოგადოებრივი ზემოქმედების ან სხვაგვარი ურთიერთობების ზეგავლენის გამო ან კრიტიკის შიშით. ამასთან, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენისას მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პიროვნულად მყარი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენის დროსაც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ძლიერიშვილი არის აკადემიური, თავდაჭერილი ადამიანი, კორექტულია როგორც კოლეგებთან, ისე სტუდენტებთან ურთიერთობისას. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ ეთიკურ სტანდარტს. კანდიდატის საჯარო მოსმენისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის თავმდაბალი, თავდაჭერილი და თავაზიანი. ამასთან, მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებლის მიხედვით უნდა ითქვას, რომ კანდიდატი იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებს, პროფესორებსა თუ სტუდენტებში სარგებლობს მაღალი პროფესიული და მორალური ავტორიტეტით. მის მოსაზრებას აქვს მაღალი სანდოობა, როგორც აკადემიურ წრეებში, ისე პრაქტიკოს იურისტებს შორის. პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზურაბ ძლიერიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლედ განწესების, ასევე მის მიერ განხილულ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციით დადგენილია, რომ ზურაბ ძლიერიშვილს არ აქვს მიმდინარე სესხი. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, ზურაბ ძლიერიშვილი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ზურაბ ძლიერიშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებსა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ საერთო შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ძლიერიშვილი კარგად იცნობს როგორც საქართველოს (მატერიალურ და საპროცესო) კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ეროვნული კანონმდებლობის განმარტებისას, მას შეუძლია მოიძიოს და შესაბამისად გამოიყენოს უცხო ქვეყნის მსგავსი საკანონმდებლო ნორმა, სასამართლო პრეცედენტი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 24 აპრილს ზურაბ ძლიერიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და სამართლებრივი ხასიათის კითხვა, კერძოდ, დაისვა შეკითხვები: სასამართლოს-თან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შესახებ; საგამოძიებო კომისიის შექმნის ლეგიტიმურობის და მანდატის თაობაზე; შშმ პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის შინაარსის თაობაზე; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების შემოწმების პროცედურის თაობაზე; ევროკონვენციის მე-17 და 35-ე მუხლების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ; ადამიანის უფლებათა მე-6 მუხლზე, აბსოლუტურ უფლებებზე და სხვ., რაზეც კანდიდატმა ძირითადად არგუმენტირებული პასუხები გასცა, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში - არა ამომწურავი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით ძალიან ვრცლად იმსჯელა. აგრეთვე დაისვა კითხვები სისხლის სამართლის სფეროდან (კანონის ანალოგია) და, - ვრცელდება თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რაზეც კანდიდატს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

მიმაჩნია, რომ საერთო ჯამში კანდიდატმა როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზე დააფიქსირა საფუძვლიანი და არგუმენტირებული პასუხები.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის ათწლიანი გამოცდილება. კანდიდატი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოქმედი მოსამართლეა. ზურაბ ძლიერიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა არგუმენტირებული, დამაჯერებელი, ვრცელი სამართლებრივი მსჯელობის უნარით, სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, ახერხებს სამართლებრივი საკითხების სიღრმისეულად აღქმას. მას აქვს ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი, რაც ჩანს როგორც მისი სამეცნიერო ნაშრომებიდან, ისე მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ძლიერიშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატი საჯარო მოსმენის დროს ძირითადად ამომწურავად, ვრცლად და კვალიფიციურად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს, თუმცა,

ზოგიერთ სამართლებრივი შინაარსის შეკითხვაზე მისი პასუხები იყო საკმაოდ ვრცელი, რაც ხელს უშლიდა კონკრეტულ კითხვაზე კონცენტრირებას.

ზურაბ ძლიერიშვილის პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციით დასტურდება, რომ კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, მენეჯერული უნარ-ჩვევებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის იანვრიდან 2024 წლის იანვრამდე პერიოდის განმავლობაში მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 98,9%, ასევე, გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის მაჩვენებელი - 100%.

კანდიდატის აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ზურაბ ძლიერიშვილი აქტიურად მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და აქვს გამოქვეყნებული არაერთი სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაცია. მონაწილეობს კონფერენციებში, სემინარებში, საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს ღიად და თავისუფლად აფიქსირებს. იგი საკმაოდ ბევრი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი კომენტატორია.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ **ზურაბ ძლიერიშვილი**, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.** ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით მის მიერ დაგროვილი ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს **91** ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024